ცხოვრება გვაადვილებინათ. აქ სხვა მიზეზებიც უნ-
და ვივლით ხმობთ: სხვათა შორის, ყაჩაღურათ შემო-
სიეულ მტრისაკ ვასუსს გააცემინებდნენ თუშებს. ამა
თუ იმ მიზეზის გამო, ნება მისცეს თუშებს, რომ ერ-
ჩინათ თავიანთი ცხვარ-ცხენი და სხვა საქონელი სამ
ალაქას: პანკისის სეოპში, რომელიც მდებარეობს

ალაზნის მთებიდან გამოსავალი (თიანეთის მახრად),
თვით ლეგანში ზ ღამოპატის სეოპში, რომელიც ძვეს
თელავის მახრადში, სოფლებ ფშელოს და ნათარე-
ულს შუა. ამ ყაბით მთელ პანკისის ხეობის მავე-
რათ, თუშებს დაჩრდნათ მისი მცირე ნაწილი-ლა,
რადგან ეს ხეობა იქმნა დასახლებული სხვა-და-სხვა
ხალხებით. 1) რაც შეეხება ღამოპატის სეოპს, ის ხომ
განქრა, ვითარცა ოცნება. აქ მოვიყვანთ გუჯარის სა-
ჭირო ადგილს: „მავათი (თუშების) ცხენის დასაყე-
ნებელი ადგილი—სწერს თუთმ მოუზრავს მეფე—
ღამოპატის ხეობა ყოფილად, ალენი და პანკისი. ამ
სამს ალგას უნდა დააყენონ (საქონელი)“. ეს ყველა-
სთვის სხვადა, რომ მარტო მათში დღე საქონელს
ვერ გააშენებდნენ თუშები, რადგან ზამთრობით ვერ
შეინახებდნენ. და როდესაც თუშებმა ბარში დენა და
ჩენა დაიწყეს, მაშინ ცხვარიც გაამრავლეს. ამ მოე-
ლენამ გამოიწვია მოთხოვნილება სხვა საძოვარ ად-
გილებსაც. როგორც ჩანს, საქართველოს მეფეები
(ბოლო დროისა მინც) ბევრითათ თელ-ყურს ადევ-
ნებდნენ თუშის ყოფა-ცხოვრებას; ცდილობდნენ, რომ,
ასე თუ ისე, დეცასაშუკრებინათ და ამ გვართ დეცა-
ლოცებინათ თუშები. ასეც მოიქცენ, მავალ., მეფე
თეიმურაზი და შვილი მისი ერეკლე (პატარა კახი).
ამათ ისეთი საშუალება აღმოუჩინეს თუშებს, რომ ამ
უკანასკნელებს შეეძლოთ ბევრათ წინ წეყეყანათ თა-
ვისი ეკონომიური ცხოვრება. აგრეთვე თუშებს პი-
რადით პატვის სცემდნენ: მავალ., სასახლის კარის და-
რავებათ ბევრჯელ ცხენი ყოფილან. თუშებს შეეძ-
ლოთ კახეთის ყოველ სოფლის ბოლოში დეყეყენ-
ბინათ ორ ორი ფარა ცხვარი, გარდა საყდრიანისა
(ალაყერდის გარშემო), სადაც პატარა სოფლები ყო-
ფილა. ამ განკარგულებას მეფე ერეკლე ასახულებს
კიდევ. აი, გუჯარის ადგილი: „მავრამ ახლა ღთის მოწ-
ყალებით თითონაც განჩრეალებდნენ და საქონელიც
გაუმრავლეთ ღთით უფრო ამჩრეალოსთ მავრამ“...
ამ სიტყვაზე შეეჩრდეთ კობა ხნობით, რადგან აქე-
დან იწყება იმისთანა აზრი, რომელიც გეხატავს თუ-
შების ცუდ მხარეს და ცხადთ გეცნობებს აწინდ-
ელი თუშების სახელოვან მამა-პაპათ. „თუ ამ სამს

1) ამით შორის ქისტებიც არიან. ამბობენ, რომ
პანკისის ქისტები გდამოუხსლებიან თვით თუშებს ჩა-
ნანადან; უთობა, მთავრობასაც წილი ექნეოდა ამ გან-
ზრასევაში. ეს კი ნამდვილია, რომ, როდესაც ქისტები სა-
მშობლოსკენ გაემზაურენ, თუშებმა ეს შუკრება დააზ-
ნის ვერო სეოპში და არ უშუბდნენ. თუშცა ქისტე-
ბი თუშებმა ისეც დააბრუნეს პანკისში, მაგრამ აქ, ერთ-
მხეთის თოფების სწოლის დროს, ქისტებმა მოჭლეეს
ერთი საუკეთესო თუშთაგანი.

*) ის. „გეგლი“, № 49.
**) „გეგლის“ 50 ნომერში ამ სთავრში მე-
ცდომით არის ნაწყნები მე-XIII საუკუნე, უნდა იყოს
მე-XVIII.

ალავს (ზემო ხსენებული პანკისი, ალენი და ლოპოტა) მაგათი (თუშების) ცხეარის არ მოთასუნეს — წერს მეფე ერეკლე თუშთ მოუზრავ ღურბიშხანს — კახეთის სოფლებში ორ-ორს ფარას სოფლის ბოლოს დაყენებდნ ამავ მეტი დაყენება არ იქნება საყდრიანში თითოს ფარის ცხერისა მელს ნუ დაყენებენ მიტომ რომ წყრილი სოფლებია*. როგორც ჩანს, მეფე ერეკლემ დიდი უფლება მიანიჭა თუშებს, მაგრამ ამათ ვერც სოფლის ბოლოთი, ვერც სხეთი ისარგებლეს; ყველაფერი ზედიდან წაუვიდათ, თუმცა გუჯარი ჰქონდათ ამ შემთხვევაში თუშებს შეუძლიანთ განამეორონ ის. რაცა თქვეს სლავიანებმა ერთ უტნაურ და უცებ მოვლენილ ხალხზე: шогинша, аки Обры.

როგორ უყურებდნ საქართველოს მეფეები და თვით ბარას ქართველიც თუშების ზნე ჩეულებას, ამის ასახუნლათ და გასაგებთ საქორა ცოტა შორიდან დავიწყოთ: მიემართთ თუშების წარსულ ცხოვრებას; მიემართთ იმ დროს, როდესაც თუშს არ რწამდა არც მეფე, არც ამგვარი მძღაერი ვინმე ამ ქვეყნისა, როდესაც მას არა ჰქონდა გამორკვეული ლოცვა ღვთის წინაშე: იგი თავის ვედრებაში ახსენებდა როგორც ღმერთს, აგრეთვე ცელოს, ნამგლის რ საქონლის ანგლოზებს რ მთის მრავალ წმინდანებს. ეკლესიის მაგიერათ აშენებდა ქვის ყორეკაშკებს, ხატების წოდ თავყანს სცემდა დროშებს რ სხვა... რაც ჩემია, ხომ ჩემიაო — თქობდა მაშინდელი თუშთ — რაც სხვას ეკუთვნის, ისიც ჩემიაო; ადამიანის სიკუთხლეს ხალის ფასს არ სდებდა... ოჯახში თუშთ აზოთერი დესპოტი არ იყო, მაგრამ მაინც ბატონობდა (ხეესურეთში ახლაც ძალიან დამონავებულია მდებრობითი სქესი და სხვა უმცროსიც). თუშის ზნეობა-ისტორიური მოთხოვნებიანი კმაყოფილებდნ სალამურით, ფანდურით, სიმღერით და მთქმითა ტრლით. ეს ოთხი სამუსიკო საშუალება იძლიოდა მომეტებულ ნაწილათ, თმქაც ვეღურს, მაგრამ გულ-შენატკივარ ხმებს. ასე რომ, ტრლი და კაცი; ტრლი და დიაკიც; და როდესაც ერთ თემის სოფლები გამოვიდნ მყდრის დასატირათ, აქ დიაკი იკლავდა თავის დაჩაგრულ გულის პასუხებს. ხალხმა შექქნა მოტირალი მანდილოსანი.

ამ სარწმუნოებისა და ზნეობის ბატონი, თუშთ, ცხოვრებდა კაცასის მთების შუა გულში. გარს ევლო სიმაგრეთ ბუნებითი შემოზღუდული კლდეები და უზარმაზარი თოვლით მოსილი მთები და თავისივე მკვახის მეზობელი, სწორეთ აქ აღიზარდა თუშის ამაყი ბუნება, მისი შეუპოვარი გმობობა, მკაცრი და სასტიკი ხასიათი, მისი სიყვარული თავისუფლებისადმი, რომლით დღესაც განირჩევა თუშთ ბა-

რის მოძმისაგან. თუშთ მადლიდან მეფურათ გადმოჰყურებდა ბარს, რომელმაც, დღეს-ხელოვანი, ჩამოიტყუა კიდელ. ბატონ-ყმობა — ეს შავი ფურცელი ჩენი ისტორიისა — ბეგერი ხანი იყო, რაც ხარბის და „მამობრივის“ თვალთი უყურებდა მთიელ ხალხს. თუშები თან-და-თან უახლოვებოდნ ბატონ-ყმობა წეს-წყობილებას. როგორც გამოცდილი და მკოდნ მხედარი გაუხედნელ ცენს გეაზხე ხელს უსვამს, რომ ხასიათი დაურბილოს და შეაჩეოს თავის თეს, ასევე მომაკვდელი ბატონ-ყმობა აწვდიდა თავის გამხდარ და უღონო კლანქებს მთიელებსაც; რამელნიც უნდა გეაზხეა მსხვერპლათ თავის გაუმადარი მადლისა. ბარის ხალხს — ამ ეთომად აუცილებელ ისტორიულ მოვლენამ — ბატონ-ყმობამ — აღარა შეარჩინა რა, დაისკუთრა მისი ფიზიკური ძალა, მისი სარჩო-საზადლებელი; გახდა ბატონი მის სულის და გულის; დასცა ძირს მისი პირად ზნეობა, შეეწოა მის საინდულმო სტრვილს, ჩაიფინა მის შინაურ მკვში, შეურაძენყო მისი ოჯახი... ბატონ-ყმობამ, რასაკერეველია, მებატონის მთელ ცხოვრებასაც საქარისათ შესამწევი ბეჭედი დასვა. ამ ბატონ-ყმობამ მთის ხალხი ვეღარ დამონავა, აღარ დასცალდა... თუშები ამ გარემოებას ეერა ხედოდნ, რასაკერეველია. აქ, უმეველია, იკითხვს მკითხველი: „მამ, თუშებს მთაში ერჩიენთ, მინამ ბარშიო?“ საზოგადოთ — არა; მაგრამ ბატონ-ყმობის დროს კი დახა.

ზემოთ ვთქვით, რომ თუშთ ცხოვრებდა ბუნებითი შეუცლი სიმაგრეში; აქ თუშთ მოეწყო ისე, როგორც უტრია და მას ჰკუა გარენბა, როგორც ხელს უწყობდა თვით ბუნება და სხვა გარემოებანი. თუშეთის ბუნება ერთობ ღარიბია მიწის შეეუშავების კულტურისათვის; სახნავი ადგილი ცოტაა; აქა-ქ ხელს-სადენა მიწის ხნადენ და ხნადე კიდელ. მაწის შეემუშავებას ხელს უშლიდა ხანგრძლივი ზამთარიც; ღვინობის თვის დასაწყისიდან მარისს დამლევად მამ, თუშს შეეძლო ემუშავნა მიწის მოსავლის მოსაყენათ მსოფლით ოთს თვეს (ხორბალეული ნაყოფი (პური) უეგმოა და შავი ტალახის ფერი აქეს) არის დაბალი ჯოშისა და მარცვალი მეტათ პატარა იზრდება). ამასთანავე ხმ-რათ მოსავალიც არ მოდიოდა: ყანებს ან ზეაყი აუფუქებდა, ან ნიაღვარი, ან გავლვა, ან თავი... ისეც მოხდებოდა ხოლმე — ყანების ადგილი წამოქცეოდა, და მათ მაგიერათ შავი კლდე-ლა რჩებოდათ პატარანებს. თუშს მოჰყავდა პური, ქერი და ფეტვი. აშენებდა საქონელს: ძროხას, ცხვარს. ცხენი და ჯორი ძვირფასი საშოვნელი იყო მაშინდელ თუშისათვის (დღესაც ხეესურეთში ჯორი ღირს 6 — 8 ძროხამდე — 60 მან. — 80 მან.). საქონელი ჰყავდა ცოტა, ბალახს თიბავდა ცოტას და ზამთრობით მარხილით

ჩამოქონდა დაბლა. საქონელი, გარდა სხვა-დასხვა ქირისა, ხმ-რათ შიმშილისაგან უწყდებოდა. სახლები ჰქონდა ქვისა (უკიროთ ნაქეთები): ერთ სართულნიანი, ორიანი და ზოგჯერ სამიანიც. პირველი გვარ სახლებში ხალხი და საქონელი ზამთრობით ერთათ ცხოვრებდა; ორ-სართულიანში—პატრონები იდგნენ ზემოთა ოთახში (კელწა), ხოლო საქონელი ქვემო ოთახში, ბაშტეში (გომი); სამ-სართულიან სახლის ზემო ოთახს (ქერხა) ზაფხულობით ხმარობდნენ. თუშმა არ იცოდა, რა არის ჩითელი; როგორც კაცი, აგრეთვე დედა-კაცი ხმარობდა მხოლოდ შაღის ტანისამოსს. მომეტებულია წიდა შრომისა წაჯთა და სქესს (როგორც დღეს ხეცსურეთში). ქალს მზითვით, სხვათა შორის, ცელსაც ატანდნენ. მამანი ისხდნენ სოფლის შუა მიოდანზე, ლაპარაკობდნენ მამა-პაპათ წარსულ გმირობაზე, მეზობლის დაღუპვაზე და შეექცეოდნენ თამბაქოს (ესეც მოჰყავდათ): ეწოდნენ ჩიბუხს, ლექდენ თამბაქოს და სხვა. ეს მოკლე ლ-ზოგადი ადგილი თუშების ეკონომიურ ყოფი-ცხოვრებიდან ყველას დაარწმუნებს იმაში, რომ თუშები მაშინ მეტათ ღარიბათ ცხოვრებდნენ. მთელი წლის შემოსავალი არა თუ აძლევდა მას მომეტებულს „შავი დღისათვის“, არამედ არ ჰყოფნიდა ოჯახს მეორე მოსავლამდისაც. ხშირათ ამისთანა მდგომარეობის გამო თუშნი დააკრპუნებდა კბილებს, მიმართავდა კედელს, სადაც ევიდა იარღი, წამოაფლავებდა ხელს და ჩუმათ, ნელ-ნაბიჯით გავიდოდა კარში.. მკითხველი მიხედვება, რომ თუშნი წაყიდოდა ან სანადიროთ, ან საქურდლოთ. რამდენათ ღარიბი იყო მაშინდელი თუშნი, რა საშინელ სიღარიბის სურათს წარმოადგენდა მისი ცხოვრება—ამს საქმარისათ ასაბუთებს, სხვათა შორის, ეს მოველენაც: თუშნი იშვიათათ ხმარობდა საქმელში მარილს (როგორც დღესაც ხეცსურეთში), და ამ 150 წლის წინათ, უფრო ახლოც, ბარიდან (კაქეთიდან) მარილის ქვა ზურგით გადაჰქონდათ შთაში. თუშეთში მარილის სიძვირეს ამტკიცებს აგრეთვე ერთი ლექსიც, რომლის აზრით—სულეთში მატყლი-მარილი (ალბათ, მკირე წონა) თეთრი ხარისა ფასია*.

მთებში თუშნი მარტკა ანა ცხოვრებდა: იმას ჰყვანდა მეს-ბლები: დილა-ლეკები, ჩანები, ხეცსურები და ფშალები; ხოლო სამხრეთის მხრივ და კარგა მოშორებით ცხოვრებდნენ ბარის ქართველები. ბარის ქართველს შესამინევი გავლენა არა ჰქონია თუშზე, მისი ცხოვრება სულ თავისებურა გზას ადგა (გველენის შესახებ არ გვეყუბნებია არც ზვიპრგადმოცემანი და; კერძოთ, არც სიმღერები). ბარის კულტურის გავლენის დალი დაჩნდა თუშის ცხოვრებას ბოლო ხანებში. მაგრამ მთის მეზობლის გავლენა კი სულ სხვა იყო. თუშებსა და ამ ხალხებს შორის ორ-

გვარი მისელა-მოსელა იყო ხოლმე: მეგობრული და მტრული. ჩანებთან და დილა-ლეკებთან თუშები მომეტებულ ხანს ჩხუბობდნენ: ერთმანეთს სარჩო-საბადლებს ართმევდნენ და ატყევევებდნენ კიდევ; ხოლო ხეცსურებთან და ფშაველებთან უფროა შმივილი კვეშირი ჰქონდათ, თუმცა ამათი ძმობა და მეგობრობა არა ერთხელ შეღებილა შუღლის სისხლით..

სხენებული ხალხები კულტურულ გავლენას ვერ იქონიებდნენ თუშებზე, იმიტომ რომ თუშებზე მაღლა თითქმის არაფრით იდგნენ. და რაც შეეხება ხეცსურებს და დილს—ესენი ხომა ახლაც მეტათ ღატაკი ხალხია ყოველისფრით. ჩვენ მიუღ ქუცისის მიჯნებში—შავი ზოვიდან კასპის ზღვამდე—არ გვეგულებოდა ამათზე დაქვეითებული ხალხი. ხეცსური ყოველის მხრივ უბედური და შესაბარლისია. წარმოიდგინეთ თქვენ იმ ოჯახის მდგომარეობა, რომელსაც არ შეუძლიან გაღისხადოს წლის განმავლობაში სასკლ-შეიფოა სხანაში შესატანი 2—3 მან. ფუფათ?!.. ამისთანა მომეტებული ნაწილი ხეცსურეთის მცხოვრებისა.. თუმცა ჩვენ საგანს არ შეეხება, მაგრამ მაინც ვიტყვი: ამ კამათ ხეცსურეთი წინ კი აღარ მიდის, უკუ იხედს, წარმოადგენს მომაცკედე თემს.—ნუ თუ ამ თავის ძმას, ყოველის მხრივ დაცემულს, ერთ ტომის ადამიანს ქართველობა ასე შორიდან, გულგრილათ უნდა უმზერდეს?!.. 2) დროა, ბატონებო, რომ დაცემული ჩვენნი მოძმე ფეხზე ავაყენოთ, მივცეთ მხარე და ისე ერთვულათ, ძმურათ, სინდისი-ერთათ შეველგეთ საქმის კეთებას... ვიმეორებთ, რომ ამისთანა მეზობლისაგან თუშნი რიგიანს ვერაფერს შეიძენდა. გარდა ამისა, თუშნი თავის მოძმესთან, ფშაველთან, ბევრჯელ მტრულათ ცხოვრებდა. ესენიც ერთმანეთს ლაზთიანათ ცხვირ-პირს ამტრევედნენ. აი, რას ამბობს ხალხის ერთი სიმღერა:

თუშო, ნუ ჩახვალ ხოშორასს, (ფშაველ სოფ.)
 ხოშორა ეკლანიანი; ლაშარის გორწეკ),
 ჩახვალ და ევლარ ამოხვალ,
 ამოსელა შენი ძნელია...

ერთხელ 'ფშაველებმა თუშებს კარგი სადილი აქამეს და ისე გაისტუმრეს.. მაგრამ ასეც მოვეითხრობენ სიმღერები:

ლაშარს ჩავიდოდ თლიძე (თუშნი),
 გულ მიმიმედ დაჯდებოდ ხარია,
 გარს ფშაველებ შემოვხეგოდენ,
 როგორც ბატონსა ყმანია.
 აქ არას მოგვესლებოდ თლიძე—

*) ხეცსურებს თუ ბარში აჯგოდა ან მიეცათ, იმათი საქმე შეუძლებელია, რომ გატოვდეს...

დღი ჰქენ ცოდობრალია:
დაწვი, დადაგე ხოშორა,
ცამდის აუშვი ალია;
დახოცე დიაც-ყმაწვილი—

კალოდ ვალეწე მკედარია...

რა ეს და რა სხვა: თითქმის ყოველი სიმღერა და მრავალი სხვა ზეპირადმოცემანი გვიხატენ თუშის გმირულ ცხოვრებას. თავის ძალოდნეს ანუ გმირობას თუში ომს ანდომებდა. რასაკვირველია, ომმა თავისი გამრყენელი (ნ. ნიკოლაძის აზრით კი ომი ალუქრავს ადამიანს ზნეობრივ გრძნობას და ამ გრძნობას ამაღლებს კიდეს...) გავლენა იქონია თუშის მთელ ცხოვრებაზე. თუშების ზნეობით და გონებით განვითარებაზე ჰქონდა არა მცირე გავლენა ერთ მოვლენასაც. საქმე იმაშია, რომ თუშები დეზულოზდენ თავის თემში არა თუ მართა თვის ტომის სხვა-და-სხვა პირებს, არამედ ადგილს აძლევენ თავის თემში სხვა რჯულის და ჯიშის პირებსაც. ამისთანა მითვისება უცხო კაცისა ზღვობა და მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზების გამო იყო განდევნილი ესა თუ ის პირი თავის თემისაგან... ამ გეარათ შედვა, როგორც ზემოთაც იქვეა, მთელი წოვა-თუშობა. თუშის რელიგიური ცნებანი და კულტი უთავბოლო იყო (როგორც დღესაც მისსურთში); მისი რჯულ-წესები შეებრძოლენ ჯერ მისსს სწავლას, შემდეგ ძლიერ ახალ აღთქმას და სულ ბოლოს მკამდანიანობასაც. ატყდა ამ რჯულთა შორის ბრძოლა ერთმანეთის მოსასპობათ. მთაში ცხოვრების დროს, უტყველია, მამა-პაპათ რჯული გაიმარჯვებდა, იმეტრამ რომ ამას მოწმობდენ და ესარჩლებოდენ წინაპართ აჩრდილნი, ზეპირგარდმოცემანი და მთის ფერდობებიდან საფლავის ქვებიც... თუშის ღმერთი და წმიდან-ანგელოზები არ ეწინააღმდეგებოდენ მის ყოფა-ქცევას. რათ უნდოდა თუშს მოსეს რჯული, რომელიც ვალათ ადებდა ყველას: არ იქურდო, არა ჰკლოა... ქრისტეს სწავლა ხომ გაუკებარ სთინქს წარმოადგენდა თუშისათვის. თუში როგორ მოინებლებდა იმისთანა სწავლას, რომელიც ჰქადაგებდა: გიყვარე სხვა, როგორც შენი თავი... თუმცა დღესაც კი გამოურყვევლია თუშისათვის რჯულის ძირითადი ცნებანი, მაკამ ქრისტეს სწავლა ნელ-ნელა შედის თუშის ცხოვრებაში და უმოთაგრეს ადგილს იკებს მის სარწმუნოებაში. ამ ქამათაც თუში ახალ წელიწადის პირველ დღეს, დილა ადრიათ, შედის გამოში, ულოცავს საქონელს ამ დღეს სუფრით და ახსენებს „საქონლს ანგელოზსაც“. თუშის ზნეობითი და გონებითი განვითარება იღვა დაბლა და იყო ვიწროა შეზღუდულობისა. თუშის ლოღიკა ცხოვრების სხვა-და-სხვა საკნების შესახებ ჰგვანდა ზულუსის შე-

მდგეს სჯას: „თუ მე როგორმე სხვის ცოლს წავართმევ და მოეტაცებ—ეს ფრად საქირა და საამური საქმეა; და თუ მე წამართვა ცოლი სხვამ—ეს კი მეტის-მეტათ ცუდი ყოფა-ქცევაა (დ. პისარევიანი)*. ჩვენი მიზნისთვის თუშების ცხოვრების ეს სურათი კმარა.

დ. ალაწკელი.

(შემდეგი იქნება)

დაგვიანებული პასუხი დ. ზესტაფონის ნორმალური სკოლის ზედამხედველს ომ. იოსელიანს.



ვერის* 207 №-ში დაბეჭდილი იყო დ. ზესტაფონიდან ჩემი კორესპონდენცია, რომელშიც მე სხვათა შორის აღვნიშნე ზესტაფონის მკვიდრთა გულის სიღრმიდან ამონაღებნი ჩივილი აქაური ნორმალური სკოლის შესახებ; ზესტაფონის მკვიდრი გლეხები ყოველ დღე და წამს ჩივიან და იმერებენ: „ჩვენ სკოლა ჩვენთვის გაეიკეთეთ და აზნაურებს და სხვა მახრების მცხოვრებთ ნუ მიიღებთ, რადგანაც ჩვენ ზავშესაც არ ჰყოფის ადგილი“. მე ვთქვი, რომ დღეს სკოლაში ოცი აზნაურია რეკამდენიმე ბავშვი კიდევ სხვა მახრებიდან. „ივერიის“ მე-225-ე №-ში ამ სკოლის ზედამხედველმა ომ. იოსელიანმა „პასუხი“ (?) მიგო, სადაც ჯერ დაწერილობით თავისი ბიოგრაფია გაავაცნო, მერე ჩემი „დაბადება და განვითარება“ შეატყობინა მკითხველს და საბოლოოთ ლამაზთ შეზავებული სიმართლის აღსადგინა“ (sic!) იტყარების დომხალი გამოაქრელა. მე ჯეროვანი პასუხი ვაუწყებავ, ივერიის“ დასაბეჭდათ, მაკამ პატიცემულმა რედაქციამ არ იმას მიხედა, რომ ერთ დროს ჩემს კორესპონდენტებს ბეჭდავდა და ვალდებული იყო ტყველა უბრალოთ გაჯობილი თავისი კორესპონდენტი დეცევა, და „არ დაიბეჭდებო“, შემატყობინა. მეც ჩემ წერილს შემიკრულეს ეუზუნი „კეალის“ რედაქციას, რომელსაც, რასაკვირველია, ნება აქვს, როგორც უნდა ისე მოაქყარს ჩემი წერილის. მკითხველს ვთხოვ წიკითხოს „ივერიის“ 225 №-ში ომ. იოსელიანის „პასუხი“ და მერე ჩემიც:

განა ჩვენ ის ვთქვით, რომ აზნაურ საყვარელიძეებს მიწა არ შემოაუწირავთ და იმათ შეიღებს ნუ მიიღებთო? არა! განა ცოტა არიან ჩვენში თავდააწაურნი, რომელნიც უხვი შეწირულობისთვის ამათუ იმ სკოლის საპატიო მზარუნველებათ ითვლები-

ან? ვინ ამბობს იმათ წინააღმდეგ რამეს? ახ. ირაკლი საყვარელიძესაც ხომ ორი ვაყი ყვეს ნორმალურ სკოლაში? ის შევნიერი ქვის სახლი, რომელშიაც აყვარილის ნორმალური სასწავლებელია? მოთავსებული, ხომ შორაანის მახრის გლეხებმა ააშენეს (როგორც თქვენ ბრძანებთ ბ. სკოლის შედამხველელი!) ღ დაარსებისთანავე თითო მანათი ფულათაც გამოიღეს? (ეს რაღათ დაგაფიქრათ თქვენს „სიპართლის აღსადგენს“ (?) წერილში?). განა 1890—1895 წლებში რომ წ აზნაურის შვილი მიიღეთ, მაშინ „გლეხების შვილებს თავისუფალი ალაკი გადაჩაჩათ“ და იმითამ მიიღეთ? იმათმა მშობლებმა დაარსებისთანავე შემოსწორეს სკოლას თხოუთით-თხოუთმეტყ მანათი, როგორც თქვენ ბრძანებთ, თუ შემდეგ, როცა თქვენ იმათი შვილები მიიღეთ? ამაზე დაეკითხეთ ზესტაფონელ მკვიდრთ, შორაანის მახრის გლეხობას, მაშინდელ შორაანის მამასახლისს!!! იმედი მაქვს ჯეროვან პასუხს მიიღებთ! მე და თქვენ ხომ კარგათ ვეცით, რომ აზნაურის შვილები მიღების შემდეგ იხდიდნენ წელიწადში 15 მანათს, და არა სკოლის დაარსებისთანავე, იხიდან ახლაც, ეს ჩემს კორესპონდენციასშიც ვთქვი და აშკარა უჯანონობაც ვუწოდებ, რადგანაც „შინ რომ ბავშს შიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდა“-ო, ხომ მოგეხსენებათ, რაც შეეხება ბ ნი მზრუნველის ნებართვას, იმას ჩვენ უნდა ვუყურებდეთ, როგორც „განსაკუთრებულს ყურადღებას“ თავდა-აზნაურთა მიმართ და როცა ისეთებუ წუწუნებენ, როგორნიც წელს: გლეხი არაბიძის ქვირი, გლეხი ვეფხვაძე და მრავალი სხვები, რომელთაც ორი-სამი კვირამით უზრდვეთ ქვე და ქვიშა სკოლის შერნობის აგების დროს და ფულიც გამოუღიათ, ცხადზე უცხადესია უპირატესობას იმათ შვილებს უნდა ვაძლევდეთ. ვარწმუნებთ, ეს ბ-ნი მზრუნველის განკარგულების წინააღმდეგი არ იქნება, როგორც თქვენ გგონიათ! თუ მეორე კლასში თავისუფალი ალაკი გქონდათ და „ახლაც გაქვთ“ (თქვენი სიტყვება), მაშ გლეხმა სენიშვილმა რა დააშვა, რომ მეორე კლასის ეგზემენზე უადგილობის გამო (?) უარი უთხარით და გინდა თუ არ გინდაო, პირველ კლასში ამოაყოფინეთ თავი? გლეხის შვილი გაბრიძემ თქვენგან მეორე კლასის ადგილზე უჯანათქვამი წავიდა ხომ ს. ალისუბანს და იქაურ სასწავლებელში სწავლობს? განა ამის წინააღმდეგის დამტკიცება როცა-ს-მე ძალუძს თქვენ კრიმინალებს?

ამას შემდეგ რათ გინდოდათ ეს სიტყუვით გატენილი ციფერების ხუხუხა, თუ როდის, ვინ და რამდენი ბავშვი მიიღეთ? განა მ ოქტომბერს გლეხთაგანნი ბავშვები თქვენ მიიღეთ, როგორც თქვენს სტატისტიკურ ცნობებში კმაყოფილებით ბრძანებთ,

თუ სხვამ ვინმემ? მოიკრიბეთ მესხიერება და იქნება მოიკონათ, რა გრძელ-გრძელი და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები დახარჯეთ, არა და არ შეიძლება იმათი მიღებოა, მაკრამ თქვენდა სასებდურით, „ორი ხმის“ წინააღმდეგ თქვენი „ერთ-ნახევარი“ უნაყოფოთ დაჩაჩა! რა აღებ დაეწიყება გცოდნიათ! ახლაკი თავ-მოწონებით აუწყებთ ქვეყანას: ამდენი ბავშვი მივიღე და „ჩაჩი წაღმა დაეტრიალე“—ო; მე მგონია ბიარძიკობა! რაც შეეხება თქვენ მიერ ნახევრებ საპედაგოგო საბჭოს და სახელმწიფო სასწავლებელს ე. ჩხაიძეს, ეს უკანასკნელი, როგორც ადგილზე ახლათ დანიშნული, ხომ მ-სეკტემბერს მოაქვდა და როცა ადგილს გაციწობდა, არა მგონია თქვენი მოქმედების პროკრამის თანახმა გამხდარიყო; თუ ე. ჩხაიძე თქვენი სტატისტიკური ცნობების თანახმა არის, რატომ მასაც არ მოაწერინეთ ხელი თქვენს წერილზე? თუ გინდ ასეც არ იყო-ს, განა საპედაგოგო საბჭოში და სხვაანაც მართა ერთი ხმა თავისას ვერ გაიტანს და „ხმაღ“-ლა რჩება. ამაზე ლაპააკი ხამ მეთია, რადგანაც „ახალ სასწავლებელს“, მგონია, ჩვენ ორიენი კარგათ ვიცნობთ. აქ საბჭო და ე. ჩხაიძე რა შუაშია? ეს სიტყვის ბანზე აკდება და სხვა არაფერი!

„პარაკრავს“ რომ თხოულობთ, გული საგულეს ვაქვთ? მაშ თქვენ თითონ ჩალაზე სწერთ: „სკოლაში მიღებულია 1890 - 1895 წ. წ აზნაურის შვილი, რადგან გლეხების მიღების შედეგ დაჩნებია თავისუფალი ალაკი“-ო. მეტე „პარაკრავთ“ კიდევ ვინდომ? თუ მთელი ქუთაისის-სადირექცია სკოლები ამით ხელმძღვანელობენ, თქვენი სკოლა რაღა წითელი კოქია? ამისთანა ერთი მეორის წინააღმდეგ ადგილებში რაღაც საიდუმლო იპარებდა.

წერილის ბოლოს ომ. იოსელიანი „საქმის უცოდინარობას და კერძობას“ გეციკინებს; დეე, ეს ამას შემდეგ მკითხველმა განსაჯოს! აქას კი ვიტყვი, რომ ომ. იოსელიანის ციფერების ხუხუხის ბნელ კუთონებში ბიარძიკა, მკითხველის თვალის ახევეას და სიტყვის ბანზე აკდება, უფრო კარგი სახელი ჰქვიათ, მგონია!

დასასრულ არ შემიძლია არ ვკითხო ომ. იოსელიანს, რათ გვინდოდა მისი ბიოგრაფია, ან ჩემი „დაბადება და განვითარება“? აი, ბრაზი სად მივიყვანს კაცს! თუმცე ჩემი „განუეთიარებულობაც საქირთუ ყოფილა თავის გამაძარტლებათ!

„მე ვარ, ვინცა ვარ. ოკი წლის ნამსახური და სკოლის ინტერესების მცველი და ვილაც სეფისპირეოს პასუხის ღირსათაც არ ვაგხდია“ (მთელი ტირადა-კი გამოქმამი).

განა თქვენი ოცნა წლის სამსახური იმის თაღდე-
ბია, რომ თქვენ „სკოლის საქმეს კარგათ წაძლი-
ხართ“? არა, ბატონო! კაცის მოღვაწეობა რომ ბევ-
რი ღრით და თეთრი თმა წვერით განიზამებოდეს,
მაშინ ხომ ბევრი დაიდგამდა თაგზე გვირგვინს! თქვე-
ნი კარგი სამსახურის შესახებ, მ-სექტემბერს, გახ-
სოეთ რა „ობოლი მარგალიტების“ გაგაგონათ აღე-
ლეებულმა ხალხმა? ბარემ რადგანაც თქვენი ბიოგ-
რაფიის ცოდნის საღერტლო ავერსალეთ, რა გიშაგ-
დათ აღგენუსხათ თქვენ მიერ „სკოლის საქმის წაძ-
ლილად“?

ნუ თუ სკოლის ინტერესების დაცვა ის გგო-
ნიათ, რომ სკოლის პარამღში ღამ-ღამობით „სკო-
ლის სტოროვი“ წებება? ეს კი საჭიროა, რადგანაც,
მოგახსენებენ, გაბრაზებულმა შესტაფუნებმა ერთ-
ხელ თურმე კინაღამ „გაანათეს“ სკოლის შერობა.


ნუ თუ ის გგონიათ, „საქმის ცოდნა“, რომ
ხუთ გაცეთილს შევდეგ 8—9 წლის ბავშვებს, რა-
მელთაც 4—7 ეერსტამდე უნდა გაიარონ, კლა-
სებს ავეინებთ, მტვერს აულოპინებთ და სახელწწი-
ფო ფულით ნაჭირავეთ „სკოლის სტოროვი“ თქვენ
„ლაქიათ“ გარდაიქმნიათ? სწორეთ ეს არის „საქმის
ცოდნა“, რომ დღეს თეთითაღლი შესტაფუნელა მზათ
არის „კაცების სკოლის ისტორია“ განახლოას!

ერთი ღრმათ მოხუცებულს მიქელა გაჩენი-
ლაძესაც ჰკითხეთ (იმ ღრაის მამასახლისია, როცა
სკოლა გამოიწვეს), თუ რა იმედებს აძლევდა მაშინ-
დელი შორაპნის მასრის უფროსი ბ-ნი ევიმოაცეი
აქაურ გლეხებს, როგორ მუშაობდნენ ისინი, როგორ
შეიცვალა დღეს სკოლა და მერმე ააჭრელეთ გაზე-
თის ფურცელი გაფუტულთა ციფრების ხუბულით,
თორემ „ჩვენ ენაედლით“—ო, ხომ გავიგონიათ, ბუ-
ზი რომ აპბობდა და ხარის რქაზე კი იყო წამოს-
კულებული.

კაცმა მარტო თაგი რომ იქოს-იდიდოს, თქვენც
დამეთანხმებით, მტენარი სისულელე იქნება; სხეე-
საც უნდა ჰკითხოს, საქმებია თუ არა; „ხმა ერისა და
ხმა ღეთისა“—ო, იტყვიან.

ამას შემდეგ, მგონი ყოველგვარი ბასი მტეა
და მშვიდობითაც ბრძანდებოდეთ.

თქვენ კარგი ნაცნობი ვ. სუფისმაწელი.



„კვალის“ ფოსტა.

სოფ. ნაქორწინანდას ს—ს. თქვენი კორესპონდენ-
ციას დათვებ: არ დაიბეჭდება, რადგან მათი ძლიერება მკე-
ლიას არ სხადი.

სოფ. ფეთი: „ბედი უბეჭურებას“ ავტორს ვ. მია-
გოშვილს: თქვენი მეტათ გავრელებული წერილი ნუქნდა
დამოუკიდებელ მიზეზის გამო არ იბეჭდება.

რედაქტორ გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.

ივერია

გამოვა 1898 წელსაც

იმავე პროზრაშით, როზორც წინათ.

ფასი გაზეთის:

12	თ. ბ.	10	მ.	—	6	თეთი	6	მ.
11	"	9	50	"	5	"	5	50
10	"	8	75	"	4	"	4	75
9	"	8	—	"	3	"	3	50
8	"	7	25	"	2	"	2	75
7	"	6	50	"	1	"	1	50

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან.
მთელი წლით. საფლის მასწავლებელთ „ივერია“
მთელი წლით დაეთობა 8 მან.

თუ თაიღისში დაბარებული გაზეთი თაიღისის გა-
რეშე ადრესზე შეგვად ვისმემ, უნდა წარმოადგინოს
რედაქციასი ერთი მანეთი; სოლო თუ თაიღისის გა-
რეშე სქელისმამწერელი ერთი ადგილადან მუარში გა-
დებოდა, უნდა წარმოგზავნოს ორი ანახი.

ფასი განცხადებისა:

მეთათვ გვერდზე თათო-ჰურ სტრეიქონი — 8 კაზ.,
ზარეულზე — 16 კაზ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით:

თ ფ ი ლ ი ს ი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.


და „ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგა-
დოების“ განუდარბაში, სასახლის ქუჩა, პანკის ქარვასდა.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

ТИФ.ЛІСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

რედაქტორ-გამომცემელი ილია შავევაძე.



1898

„მთაბა“

თ ვ ი ვ რ ი შ უ რ ნ ა ლ ი

(წელიწადი მეხუთე)

გამოცა იმავე შროგწამით

ფასი შურნალისა ბაზზავნით:

რუსეთის ღ კაკას. ქალაქებში:	სახლად გარ. ქალაქებში:
ერთი წლით . . . 10 მან.	ერთი წლით . . . 13 მან.
ექვსი თვით . . . 6 „	ექვსი თვით . . . 7 „
სამი თვით . . . 4 „	სამა თვით . . . 5 „

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნე-
ლებდა, შეუძლია შემოიტანოს: 1 იანვრამდე — 4
მან., 1 აპრილამდე — 3 მ. და 1 სექტემბრამდე —
3 მან.

სელა-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მო-
ამის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის მედი-
ქოვის ქუჩაზე № 13.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღები-
სათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვე-
ვაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნე-
ბა რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-
მამწერთ ფულის მიღების კვიტანტა გაცხადებულად
მხოლოდ იმით, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარ-
მოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანტაზე.

ქალაქ გარეშე მისოგზავნისთვის აღწესა: *Тифлис,*
Редакция „Мтаბა“.

რედაქცია სოფლის მღვდლებს, მასწავლებლებს,
ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალს დაუთმობს რა
მსივითაც წაიღიწაში.



ქუთაისის სთავად-აჯნაურო საადგილ-გამულო განკის გავგომბა.

საუფულოთათ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 18 § მართ ბანკის გამკეო-
ბის სადგურში სასოგადო ვაჭრობით გასუიდეული იქნება სხენებულ ბანკში დავირაგებული
ქვემო მოყვანილი უმრავი მამულები შესახვედრ გადასახადთ შემოუტანელობის გამო.

გავიდედა ამ მამულისა მოისწობა მსოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემოტანილი
იქნება ამ მამულზე თანახმით, 19 § ბანკის წესდებისა, ბანკის გადასახადი და თან გან-
ცხადების ხარჯი.

187/12 წლიანნი სსსნი.

ქ. ქუთაისს.

მეპუჯისა ბესარიონ ვასილის ძის: ნემეციის ქუ-
ჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა
309 კვ. საგ.

რუსმისა ვასილ ბუქუას ძის: ორბირის ქუჩაზე
ერთ სართულიანი ქვით-კირის ღუქნები და მიწა 271/2
კვ. საგ.

რუსმისა ლევა ნიკოლოზის ძის: ორბირის ქუ-
ჩაზე ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა
241/2 კვ. საგ.

რეკიშვილის მიხეილ გოგიას ძის: ბალახანის
ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და მი-
წა 5 ნ კვ. საგ.

ჩაკვაძისა მიხეილ თომას ძის: სილაზე ერ-სართუ-
ლიანი კვით-კირის სახლი და მიწა 106 კვ. საგ.

აღაქეთა ნიკოლოზ და ნაშირეან ოქროპირის
ძეთ: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი
სახლი და მიწა 224 კვ. საგ.

ჩაზე ორი ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა
81 კვ. საგ.

დადიანის გრიგოლ ლევანის ძის: ბალახანის
ქუჩაზე ორ სართულიანი ქვით-კირის სახლი, ფლიგე-
ლით და მიწა 177 კვ. საგ.

კლდიაშვილის გრიგოლ გიორგის ძის: გენერა-
ლის ქუჩის შესახვევში ერთ სართულიანი ხის სახლი
და მიწა 213 კვ. საგ.

კანდელაკის ღომენტი სიმონის ძის: რიონის ქუ-
ჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 კვ. საგ.

მღვდელმთავრის თამა მამუკას ძის და კესელაქის
ყარამან მიხაილის ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში
ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 21,5 კვ. საგ.

თავდაშვილთა: დავით მოშას ძის და მოშა
აბრამ-ს ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვით-
კირის ღუქანი და მიწა 5 კვ. საგ.

ჭქიტიაშვილის ფილიპე ზაალის ძის: მესხეთის ქუ-
ჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118 კვ. საგ.

ჩინაძისა ივანე გიორგის ძის: ბალახანის ქუჩის
შესახვევში ორი ერთ სართულიანი სახლები ქვითკი-
რისა და ხისა და მიწა 89 კვ. საგ.

